



ჩეინტეგრაციის გზაგვლელი დაბრუნებული მიგრანტებისთვის



სახელმწიფო სოფლისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტო

ბრუნება მომზად და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს განეკუთვნება ის მიწის ნაკვეთები, რომელთა გამოყენება ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწით. ასეთია: საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

იმისათვის, რომ კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდეს/წარმოიშვას საკუთრების უფლება, აუცილებელია მოხდეს ამ უფლების რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მესაკუთრეს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა/მესაკუთრემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლის, საზოგადოებრივ ცენტრს, ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისს და წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები.

- განცხადება (ივსება ოპერატორის მიერ);
- მესაკუთრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, ან ნოტარიულად/სათანადო წესით დამოწმებული ასლი. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება იყოს:
 - ✓ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი;
 - ✓ ცნობა/ინფორმაცია სახელმწიფო არქივიდან;
 - ✓ რეფორმის შედეგად გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა;
 - ✓ ამონაწერი საკომლო წიგნიდან;
 - ✓ საგადასახადო სია;
 - ✓ საკუთრების მოწმობა და სხვა.
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო ამომგითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია (მიწის ნაკვეთის საკადასტრო ამომგას ახორციელებენ შესაბამის რეგიონში მოქმედი საამომგველო კომპანიები).

რეგისტრაციის ვადები და საფასური

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია და დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების დაზუსტება (გარდა თვითმმართველი ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში და რეკრეაციულ ტერიტორიებზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა) წარმოებს მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე 4 სამუშაო



დღის ვადაში. შესაძლებელია, ასევე, დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაც. ამ შემთხვევაში მომსახურების საფასური და ვადებია:

- განცხადების შეტანის დღეს - 200 ლარი;
- ერთ სამუშაო დღეში - 150 ლარი.

გაითვალისწინეთ!

- სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის/რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე, ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე;
- თუ მესაკუთრეს რეგისტრაციის განხორციელება სურს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი ნოტარიული წესით დამოწმებული მინდობილობა და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბემით ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია, დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რაც აუცილებელია საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი: www.napr.gov.ge
ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. 2
ტელ.: (+995 32) 2 25 15 28
ელ-ფოსტა: info@napr.gov.ge

სსიპ - იუსტიციის სახლი
ტელ.: (+995 32) 2 40 54 05

მიწის ბადასახადი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარ ფართობზე:

- სათიბებისა და საძოვრებისათვის - ტერიტორიული ერთეულისა და მიწის სახეობების მიხედვით 1,5 ლარიდან 20 ლარამდე;
- სახნავისა და საკარმიდამოსთვის - ტერიტორიული ერთეულისა და მიწის ხარისხის მიხედვით 50 ლარიდან 100 ლარამდე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს



გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 %-ს.

მინაშე ქონების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

- 2004 წლის 1 მარტისთვის უკვე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 პექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდი: www.rs.ge

ქ. თბილისი, ცენტრალური აპარატი, ვ. გორგასლის ქ.16

ელ-ფოსტა: info@rs.ge

სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობაში

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სოფლის მეურნეობის მახარდაჭერის რამდენიმე პროგრამას. ესენია:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა;
- „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“;
- „დანერგე მომავალი“;
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ 2016;
- აწარმოე საქართველოში;
- გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება;
- აგროდაზღვევა;
- შეღავათიანი აგრო კრედიტი;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა

კოოპერატივებისთვის სახელმწიფო დახმარების/მხარდაჭერის ღონისძიებები ამ ეტაპზე მოიცავს რამდენიმე მიმართულებას:

- კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კოოპერატივებისთვის მოტობლოკისა და ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით გადაცემას;



- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;
- თბილისის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ:

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდი: www.acda.gov.ge
ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ.25
ტელ.: (+995 32) 2 313 026
მობ. (+995 32) 595 59 10 79

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელისათესებით უზრუნველყოფის პროგრამა:

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელისათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“ მცირეგაბარითიანი აგრო-ტექნიკის შეღავათიან ფასად (900 ლარი) კოოპერატივებისათვის გადაცემას ითვალისწინებს, რაც მისი ღირებულების 24 % შეადგენს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი, სათიბი, გუთანი, კულტივატორი და ხელისათესი.

დენვნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მალალმთიან, სასაზღვრო თუ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას დამატებით გადაეცემათ 1 ხელისათესი 1 ლარად.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სკების, თაფლის საწურების (ციბრუტი), თაფლის შესანახი ავზების 70%-იანი თანადაფინანსებით გადაცემას.



თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით

„თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგიდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში აშენდა და შესაბამისი ტექნიკა-დანადგარებით აღიჭურვა თხილის საშრობი და სასაწყობე ინფრასტრუქტურა, რომელიც ყოველდღიურად 24 ტონა თხილის გაშრობის შესაძლებლობას იძლევა. საწყობი გათვლილია 500 ტონამდე თხილის შესანახად. აღნიშნული ინფრასტრუქტურა 5-წლიანი იჯარით სარგებლობაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „დარჩელის თხილი“, რომელიც აერთიანებს 599 მეპაიეს და აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, კოოპერატივს უფლება ექნება მოითხოვოს ინფრასტრუქტურის გამოსყიდვა.

დანერგე მომაპალი

პროექტი მოიაზრებს ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობას: მრავალწლიანი ბაღების გაშენების თანადაფინანსება და სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა. ორივე მიმართულება ითვალისწინებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას.

მრავალწლიანი კულტურების ბაღები

ბაღების კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების თანადაფინანსება. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შექენისთვის, ასევე თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობისთვის. დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების მაქსიმუმ 70%, ამავდროულად დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მრავალწლიანი ბაღის გაშენების შემდგომ, დამატებით გადაეცემათ საკუთრებაში სანამლი აპარატები.

ფინანსურ მხარდაჭერის გარდა განეული იქნება ტექნიკური დახმარება. ბაღის მოვლისათვის აუცილებელი ცოდნით აღჭურვისათვის იმ პირებს, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ დახმარებას, ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებში:

- გაშენებულ ბაღში ნერგების გასხვლის ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება;



- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების დანერგვა - IPM;
- ბალის მორწყვისა და მცენარეთა კვების უზრუნველყოფის საკითხები;

გაითვალისწინეთ!

- მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 1 ჰა, საქართველოს ყველა რეგიონისთვის;
- ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ერთი პირის მიერ მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 20 ჰა მრავალწლიანი კულტურის ბაღის გაშენება;
- თანადაფინანსების მოცულობა 1 ჰა-ზე არ უნდა აღემატებოდეს 10,000 ლარს;
- ერთ პირზე გამოყოფილი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს;
- ბაღების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში, დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%, ხოლო წვეთოვანი სარწყავი სისტემის 50%; სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 %;
- ტრენინგებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ბენეფიციარის ვალდებულებას და აისახება ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

სანერგების მხარდაჭერა

სანერგების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება და ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს:

- მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით სანერგე მეურნეობის მოსაწყობად;
- სარგავი მასალის გამრავლების ტექნოლოგიების სწავლებას;
- სარგავი მასალის სერთიფიცირების პრინციპების სწავლებას.

გაითვალისწინეთ!

- თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს პროექტის ჯამურ ღირებულების არაუმეტეს 50%-ს. მიწის ღირებულება, მიწის მოსამზადებელი სამუშაოები და მიწის ნაკვეთის შემოღობვის ღირებულება პროექტის ჯამურ ღირებულებაში არ აისახება;
- სანერგე მეურნეობის შექმნის პროექტის ღირებულების დარჩენილი ნაწილის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე საბანკო კრედიტით;
- ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი დაფინანსების მაქსიმალური



- მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 150,000 ლარს;
• ტრენინგებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ბენეფიციარის ვალდებულებას და აისახება ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

ქართული ჩაი

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, პროგრამის მონაწილეებს ტექნიკურ დახმრებას გაუწევს ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიების შესწავლის, სერტიფიცირების, მარკეტინგის, სარეალიზაციო არხების შექმნის და სხვა მიმართულებით. მოხდება იმ სტანდარტების დანერგვა, რომელიც აუცილებელია ქართული ჩაის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტოდ. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული შეღავათები გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.

საწარმოე საქართველოში

სახელმწიფო პროგრამის სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსების მიღებისთვის საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- დაფინანსებული სესხით / ლიზინგით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო, ან გაფართოვდეს/გადაიარაღდეს არსებული საწარმო;
- საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;
- ახლად შექმნილი, ან გაფართოებული/გადაიარაღებული საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა გააჩნდეს ესთეტიკური გარეგანი სახე.

სესხის/ლიზინგის გაცემა შესაძლებელია შემდეგი დანიშნულებით:

- პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება;
- ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება.

გაითვალისწინეთ!

პროგრამის ფარგლებში სესხი/ლიზინგი არ გაცივმა ყურძნის გადამამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმოებლად.



გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სქემები შესაძლებელია 3 წყაროს გამოყენებით:

- სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების 40%, მაგრამ არაუმეტეს 250,000 აშშ დოლარისა (ექვივალენტი ლარში);
- შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 500,000 აშშ დოლარისა (ექვივალენტი ლარში);
- ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა - პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%, საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით.

დაფინანსების კონკრეტული საპროცენტო განაკვეთები და სქემები შეგიძლიათ იხილოთ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.apma.ge.

აგროდაზღვევა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროდაზღვევის პროგრამა მოიაზრებს მთავრობის მიერ სუბსიდირებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით. აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიწის ფართობის ოდენობის შემლუღვა არ ვრცელდება რეგისტრირებულ კოოპერატივზე.

შეღავათიანი აგროკრედიტი

პროექტის ფარგლებში შესაძლებელია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მწარმოებლების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი კრედიტით



უმრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის სანარმოო პროცესების გაუმჯობესებისთვის.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი მოიცავს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს:

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი:
 - ✓ საბრუნავი საშუალებებისთვის;
 - ✓ ძირითადი საშუალებებისთვის.
- შეღავათიანი აგროლიზინგი;
- სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“.

ყველა ჩამოთვლილ პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდი:
www.apma.ge ; ქ. თბილისი, ს.ახმეტელის ქ.10 ა, დიღომი, კინოსტუდიის ეზო.
ტელ: (+995 32) 2 47 01 01

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით შეუძლიათ ისარგებლონ ფერმერებმა:

- რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს;
- რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთი(ებ)ი, რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1,25 ჰა-ს. ამავდროულად, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.



ხვნის ბარათი

ხვნის ბარათი გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების სერვისის მისაღებად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ბარათებით მოსარგებლეთა სიებს და ხვნის ბარათებს გადასცემს გამგებლის წარმომადგენლებს. გამგებლის წარმომადგენლები ვალდებული არიან, ფერმერებს გადასცენ მათი კუთვნილი ხვნის ბარათი და აუხსნან ხვნის ბარათით სარგებლობის წესები.

აგრო ბარათი

„აგრო ბარათი“ არის საბანკო ბარათი, რომლის ადგილაც ფერმერებს შეუძლიათ „ლიბერთი ბანკი“-ს ნებისმიერ ფილიალში. „აგრო ბარათზე“ ირიცხება ფერმერისთვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქულები - 1 ლარი უდრის ერთ ქულას.

აგრო ბარათზე დარიცხული ქულების მეშვეობით ფერმერს შეუძლია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, სანერგე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შეძენა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აგრო ბარათი“- თ მოსარგებლეთა სიებს გადასცემს „ლიბერთი ბანკს“.

ნიადამის ხვნის სამუშაოების შესრულება

„მცირემიწიან ფერმერთა საგაბაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ითვალისწინებს ფერმერის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოხვნას.

დამატებითი ინფორმაციისთვის, მიმართეთ გამგებლის წარმომადგენელს, იხილეთ სააგენტოს სააგენტოს ვებგვერდი ან დარეკეთ ცხელ ხაზზე.

ვებ-გვერდი: www.apma.ge

ცხელ ხაზი: (+995 32) 2 47 01 01

სახნავი სამუშაოების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

შპს „მექანიზატორი“

ვებ-გვერდი: www.mechanization.ge

ქ. თბილისი, ზემო ალექსეევკა 002/027

ტელ : (+995 32) 2 30 57 21

(+995 32) 2 30 57 25

(+995 32) 2 30 57 29

ელ-ფოსტა: info@mechanization.ge

ინფორმაცია შესაძლებელია, ასევე მოიძიოთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრებში.



გარდა სახელმწიფო პროექტებისა, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო და არასამთავრო ორგანიზაციების მიერ, ასევე ხორციელდება არაერთი პროექტი.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD - საქართველო)

პროექტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერთა ჯგუფების/კოოპერატივების წარმადობისა და პროდუქციის ხარისხის, ასევე მათი ეროვნულ და საექსპორტო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი მიმართულებების ღონისძიებების განხორციელებას:

- ცნობიერების ამაღლება და სწავლება;
- საგრანტო დაფინანსება პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ძირითად საშუალებათა შესაძენად - კოოპერატივების საქმიანობის ხელშეწყობა მაქსიმუმ 49,000 ევროს თანადაფინანსებით;
- პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრებისა და საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მცირე ფერმერთა ინტერესების დაცვა და ლობირება.



პროექტი ხორციელდება საქართველოს ხუთი რეგიონის (სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი) 13 მუნიციპალიტეტში:

განმახორციელებელი ორგანიზაცია	მიზნობრივი მუნიციპალიტეტები	პრიორიტეტული სანარმოლო მიმართულება
"მოდრობა შიმშილის წინააღმდეგ" (ACF)	მუგდინი, წალენჯიხა, ჩხორთყუ, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თელავი	თხილი, ხილ-ბოსტნეული
ბიოლოგიურ მუერნობათა ასოციაცია „ელკანა“	გორი, კასპი, ახმეტა	ხილ-ბოსტნეული, მევენახეობა (სუფრის ყურძენი)
"სოფლად თემთა განვითარების სააგენტო" (RCDA)	მცხეთა, თიანეთი, დუშეთი	არამერქნული სატყეო პროდუქტები (კენკროვნები, ასკლი, ტყის ხილი, სამკურნალო მცენარეები და მისთ.)

საკონტაქტო პირები რეგიონულ დონეზე მომუშავე ორგანიზაციებში:

- პროექტის კოორდინატორი გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში: (+995 32) 570 10 59 46
- პროექტის კოორდინატორი ახმეტის მუნიციპალიტეტში: (+995 32) 570 10 59 48
- ასოციაცია „ელკანა“: (+995 32) 2 53 64 86, (+995 32) 2 32 83 21

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

ვებ-გვერდი: www.enpard.ge

ტელ: (+995 32) 2 22 04 26

ელ-ფოსტა: info@enpard.ge



ქეა ინტერნეშინალ (CARE International)

ENPARD საქართველოს ფარგლებში "ქეა" ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას 7 მუნიციპალიტეტში: სამეგრელოს რეგიონიდან ხობში, აბაშასა და სენაკში, ხოლო გურიის რეგიონიდან ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. ქეა მუშაობს ოთხი მიმართულებით:

- ატარებს სამუშაო შეხვედრებს და ლექციებს 60 კოოპერატივის წარმომადგენლისთვის, რათა მათ მოახდინონ უკეთესი ბიზნეს დაგეგმარება და შეიძინონ საჭირო ტექნიკური ცოდნა;
- 43 გაერთიანებისთვის გამოიყოფა უპროცენტო სესხი საშუალოდ 15,000 ევროს ოდენობით. თანხის დაბრუნების პირობები ინდივიდუალურად იქნება შეთანხმებული თითოეულ კოოპერატივთან;
- ხელს უწყობს კოოპერატივებს, რომ გაერთიანდნ საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში, რომელიც დაიცავს მათ ინტერესებს;
- მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, რათა დაიხვეწოს მცირე ფერმერებზე მიმართული სტრატეგია;
- საუკეთესო ბიზნეს იდეებისთვის იზიდავს ინვესტიციებს და ფერმერებს უწევს შუამავლობას ვებ-გვერდის მეშვეობით. ამ პროექტისთვის "ქეა" კავკასიაში მოიზიდავს 300,000 ევროს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

ვებგვერდი: www.care-caucasus.org.ge

მერსი ქორფსი (Mercy Corps)

მერსი ქორფსი საქართველოში ახორციელებს პროექტს „ფერმერთა კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტებში“. პროექტ ENPARD საქართველოს ფარგლებში მერსი ქორფსი მუშაობს საქართველოს 5 რეგიონის 16 მუნიციპალიტეტში:

- იმერეთი: საჩხერე, ჭიათურა, ვანი, სამტრედია;
- შიდა ქართლი: გორი, ქარელი, ხაშური, კასპი;



- ქვემო ქართლი: გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო;
- სამცხე-ჯავახეთი: ახალქალაქი, ნინოწმინდა;
- კახეთი: საგარეჯო, გურჯაანი, ყვარელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
ვებ-გვერდი: www.mercycorps.org

აღამიანები გაჭირვებაში (People in Need)

ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებს ახორციელებს იმერეთში, რაჭაში, შიდა ქართლსა და თბილისში.

მცირე ფერმერების კოოპერაციისა და პროდუქტიულობის ზრდის პროექტის მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება იმერეთსა და რაჭაში. პროექტის სამიზნე ჯგუფებია:

- ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერები, ვისაც სურთ ფერმერული კოოპერატივების დაფუძნება;
- სოფლის მეურნეობის, ვინც მონაწილეობას მიიღებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის ერთობლივ შემუშავებასა და ადვოკატირებაში.

პროექტის ფარგლებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ექსპერტული სემინარები, განიხილება ფერმერების იდეები და იმართება საგრანტო კონკურსი. მთლიანობაში პროექტიდან ტექნიკურ გრანტებს მიიღებს 18 შედარებით მცირე და 6 შედარებით დიდი კოოპერატივი, რომლებშიც საერთო ჯამში გაერთიანდება 330-450 წევრი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:
ვებ-გვერდი: www.clovekvtisni.cz/en

ყველა ჩამოთვლილ საერთაშორისო პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, ასევე შეგიძლიათ მიმართოთ სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს:

ვებ-გვერდი: www.apma.ge
ქ. თბილისი, ს.ახმეტელის 10 ა, დიღომი, კინოსტუდიის ეზო.
ტელ: (+995 32) 2 2470101



„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“
პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს



პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso